პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისა და

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის

ერთობლივი

„გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ სამაგისტრო პროგრამა

შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა

ინსტრუქცია

გამოცდაზე მოწმდება მაგისტრანტობის კანდიდატის დარგობრივი ცოდნა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში. გამოცდის მაქსიმალური ქულა შეადგენს 100 ქულას. მაგისტრანტობის კანდიდატმა მაქსიმალურად ამომწურავად უნდა უპასუხოს თითოეულ შეკითხვას. მაგისტრანტობის კანდიდატს შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა ჩაბარებულად ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი დააგროვებს არანაკლებ 51 ქულას.

საგამოცდო საკითხები:

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის არსი, ფუნქციები და ამოცანები;**
- **მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ძირითადი კრიტერიუმები;**
- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალური გამოწვევები.**

რეკომენდირებული ლიტერატურა:

“The New Public Health” Theodore Tulchinski, Elena Varavikova

დანართი № 1:

გამოცდა შედგება ათი შეკითხვისგან ზემოთაღნიშნული თემების გარშემო, თითოეული მათგანი ფასდება 10 ქულით.

თითოეული 10 ქულიანი შეკითხვის შეფასების რუბრიკა:

10-9 ქულა - პასუხი სრულია. პასუხი კონკრეტულია და ზუსტად ასახავს დასმული კითხვის შინაარსს. პროფესიული ტერმინოლოგია დაცულია. აპლიკანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს რეკომენდირებულ მასალას, მსჯელობა მაღალ დონეზეა წარმოდგენილი და იგი ლოგიკური და თანმიმდევრულია. შეცდომა არ არის.

8-7 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. პასუხი მეტწილად კონკრეტულია და ძირითადად ასახავს დასმული კითხვის შინაარსს. ტერმინოლოგიურად გამართულია. აპლიკანტი კარგად ფლობს რეკომენდირებულ მასალას; მსჯელობა კარგია, ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია. არსებითი შეცდომა არ არის.

6-5 ქულა - პასუხი არასრულია. პასუხი ნაწილობრივ ასახავს დასმული კითხვის შინაარსს. პროფესიული ტერმინოლოგია ნაკლოვანია. აპლიკანტი ფლობს რეკომენდირებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. მსჯელობა ნაწილობრივ ლოგიკური და თანმიმდევრულია. არსებითი შეცდომა არ არის.

4-3 ქულა - პასუხი არასრულია. პროფესიული ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. აპლიკანტს არასაკმარისად აქვს ათვისებული რეკომენდირებული მასალა, მსჯელობა ფრაგმენტულია, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

2-1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. პროფესიული ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის მოცემული.